

ინფორმაცია შპს „ჯეოსთილი“-ს მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 29 მარტის N21/2193 წერილში მოცემულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ

N	შენიშვნის შინაარსი	რეაგირება						
1	<p>გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმო გეგმავს წიდის დროებითი განთავსების უბნის მოწყობას. დაზუსტებას საჭიროებს წიდის დროებითი განთავსების უბნის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ იქნება ღია თუ ნაწილობრივ დახურული/შემოღობილი, მოპირკეთებული და სხვა. ასევე დასაზუსტებელია ქარის დროს წიდის წვრილი ფრაქციების ამტვერების საწინააღმდეგო შემარბილებელი ღონისძიებები;</p>	<p>როგორც გზშ-ს ანგარიშის 6.6. (ნარჩენების მართვით მოსალოდნელი ზემოქმედება) პარაგრაფშია მოცემული, ქარხნის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდის დასაწყობება ხდება ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ღია მოედანზე. წარმოქმნილი წიდის რაოდენობის და ექსპლუატაციის პირობების გათვალისწინებით სანაყაროს გადახურვა არ არის მიზანშეწონილი, კერძოდ: ამისათვის საჭირო იქნებოდა ძალიან დიდი მოცულობის და სიმაღლის (წიდის განთავსება ხდება თვითმცლელი ავტომატქანების გამოყენებით) ანგარის მოწყობა, რაც პრაქტიკულად არ არის შესაძლებელი და არ მსგავსი პრაქტიკა არსებობს მეტალურგიულ წარმოებაში.</p> <p>გამომდინარე იქედან, რომ მეტალურგიული წარმოების წიდა წარმოადგენს მსხილფრაქციულ ნარჩენს და გამოირჩევა მაღალი სიმკვრივით, სანაყაროს ზედაპირიდან მტვერის გავრცელების რისკი მინიმალურია, კერძოდ: როდესაც ცხელი წიდა ჩამოიყრება წიდის ორმოზე თხევად მდგომარეობაში, ხდება ნაწილაკების შეღღობა/ შეკავშირება და მიიღება მაღალი სიმკვრივის მსხვილფრაქციული წიდა. სანაყაროზე განთავსების შემდეგ ნაყარის ზედაპირიდან წიდის მტვერის წარმოქმნის და გავრცელების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს. ამტვერების თვალსაზრისით მაღლი რისკის მატარებელია აირგამწმენდი ფილტრებიდან მიღებული მტვერი, რომლის დაფასობა ხდება ბიგ-ბეგებში და საწყობდება ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ატმოსფერული მოვლენებისაგან დაცულ ადგილზე.</p>						
2	<p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს წარმადობა გაიზარდება დაახლოებით 72%- ით, შესაბამისად, მოცემული უნდა იყოს გაზრდილი წარმადობის შედეგად, არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>წარმადობა იზრდება წლიურ ჭრილში წყაროების მუშაობის დროის ზრდის ხარჯზე (აღნიშნული მოცემულია როგორც გზშ-ს დოკუმენტით, ასევე ზდგ ნორმებით). მუშაობის დრო და ყველა ნივთიერების ჯამური ემისია სხვადასხვა წლიური წარმადობის დროს მოცემულია ცხრილში, ხოლო ინფორმაცია ცალკეული მავნე ნივთიერების შესახებ დანართში N1</p> <table border="1" data-bbox="1071 1291 1984 1453"> <tr> <td>წლიური წარმადობა</td> <td>175,0 ათ. ტ/წელ-ის მიხედვით</td> <td>300,0 ათ. ტ/წელ-ის მიხედვით</td> </tr> <tr> <td>მუშაობის დრო, სთ/წელ</td> <td>246551</td> <td>279392</td> </tr> </table>	წლიური წარმადობა	175,0 ათ. ტ/წელ-ის მიხედვით	300,0 ათ. ტ/წელ-ის მიხედვით	მუშაობის დრო, სთ/წელ	246551	279392
წლიური წარმადობა	175,0 ათ. ტ/წელ-ის მიხედვით	300,0 ათ. ტ/წელ-ის მიხედვით						
მუშაობის დრო, სთ/წელ	246551	279392						

		გ/წმ	312.10	314.14
		ტ/წელ	6521.11	9599.08
		<p>როგორც ცხრილშია მოცემული გაფრქვევის ინტენსივობა (ერთჯერად მაქსიმალური-გ/წმ) გაზრდილია უმნიშვნელოდ, რადგან ელექტრორკალურ ღუმელის წარმადობა გაზრდილია მხოლოდ 5 ტ/სთ-ით (იყო 30 ტ/სთ და გახდა 35 ტ/სთ). საწარმოს წარმადობის გაზრდის გამო დაახლოებით 68%-ით გაზრდილია წლიური გაფრქვევის რაოდენობა.</p>		
3	გზმ-ის ანგარიში არ არის განხილული ტერიტორიის ალტერნატიული ვარიანტები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;	<p>როგორც გზმ-ს ანგარიშია მოცემული, შპს „ჯეოსთილი“-ს მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს წარმადობის გაზრდას არსებული დანადგარ-მოწყობილობის და ტექნოლოგიური სექციის გამოყენებით. ამასთანავე ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ ითვალისწინებს ახალი ნაგებობების მშენებლობას, დანადგარ-მოწყობილობის დამონტაჟებას ან ახალი ტერიტორიების გამოყენებას. აღნიშნულის გათვალისწინებით საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.</p>		
4	გარდა ამისა, წარმოდგენილი უნდა იქნას ელ. რკალური და ინდუქციური ღუმელების გარემოსდაცვითი უპირატესობების შედარებითი ანალიზი;	<p>„დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N435 დადგენილების მიხედვით, ინდუქციური ღუმელის ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერული ემისიები დაახლოებით 6-ჯერ ნაკლებია ელექტრორკალურ ღუმელთან შედარებით, მაგალითად: დადგენილების 44-ე დანართის მიხედვით 1 ტონა პროდუქციის წარმოებაზე ელექტრორკალური ღუმელის შემთხვევაში გამოიყოფა 8.25 კგ, ხოლო ინდუქციური ღუმელის შემთხვევაში 1.33 კგ მტვერი. მიუხედავად აღნიშნულისა, საწარმოო პროცესში ერთი და იგივე წარმადობის შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მოცულობები დაახლოებით იდენტურია, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. დნობის ხანგრძლივობა ელექტრორკალურ ღუმელში 4-5 ჯერ ნაკლებია ვიდრე ინდუქციურ ღუმელში;</li> </ol>		

		<p>2. ინდუქციური ღუმელი ყოველი დნობის შემდეგ ექვემდებარება ამონაგის შეცვლას, რაც ასევე საჭიროებს დროის მნიშვნელოვან დანაკარგს. გამომდინარე აღნიშნულიდან, კონკრეტული წარმადობის შემთხვევაში საწარმოში 1 ელექტრორკალური ღუმელის ნაცვლად საჭირო იქნება არანაკლებ 6 ინდუქციური ღუმელის ექსპლუატაცია და შესაბამისად ატმოსფერული ემისიების მოცულობები იქნება დაახლოებით იდენტური. იმის გამო, რომ ინდუქციური ღუმელები გამოყენება დიდი წარმადობის მეტალურგიულ საწარმოებში არარენტაბელურია და არც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ხასიათდება დიდი უპირატესობით (რადგან საჭირო რამდენი მეღუმელის გამოყენება), როგორც წესი გამოიყენება ელექტრორკალური ღუმელები. ინდუქციური ღუმელების გამოყენება ხდება მცირე წარმადობის საწარმოებში, როგორც ძირითადი საქმიანობის დამხმარე საშუალება.</p>
5	<p>დაზუსტებას საჭიროებს ფოლადის გლინვის პროცესში საბოლოო პროდუქტის მიღებისას წარმოქმნილი წუნდებული ნარჩენის (არმატურა, წნელი) შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ხდება თუ არა მისი კვლავ წარმოებაში გამოყენება;</p>	<p>ქარხნის საგლინავ სამქროში წარმოქმნილი წუნდებული პროდუქცია (არმატურა, წნელი) არ წარმოადგენს ნარჩენს, არამედ თანმდევი პროდუქტია, რომლიც ძირითადად ხელახლად გამოიყენება წარმოებაში ან ხდება მისი რეალიზაცია.</p>
6	<p>გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა თავებში აღნიშნულია, რომ კომპანია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ წიდას ათავსებდა შპს „რუსთავის ფოლადის“ წიდასაყარზე. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, ნარჩენები უნდა გადაეცეს შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მქონე ორგანიზაციას შემდგომი მართვის მიზნით. გაცნობებთ, რომ შპს „რუსთავის ფოლადის“ წიდასაყარზე არ არის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს რის საფუძველზე ახორციელებდა შპს „ჯეოსთილი“ საწარმო ნარჩენი წიდას განთავსებას შპს „რუსთავის ფოლადის“ ტერიტორიაზე. შპს „ჯეოსთილის“ სამინისტროსთან შეთანხმებული 2021-2023 წლების (03.09.2021; N15709) კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის პროექტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი წიდას დროებითი დასაწყობება მოხდებოდა 3 წლის ვადით. ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტზე ნარჩენების დასაწყობება დასაშვებია 3 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისთვის. შესაბამისად,</p>	<p>შპს „რუსთავის ფოლადი“-ს წიდასაყარზე შპს „ჯეოსთილი“-ს ქარხნის ექსპლუატაციის პროცესი წარმოქმნილი წიდას დასაწყობება ხდებოდა წინა წლებში. 2022 წლიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით წიდას დასაწყობება ხდება ქარხნის ტერიტორიაზე ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე. როგორც გზშ-ს ანგარიშის 6.6. პარაგრაფშია მოცემული, დღეისათვის შერჩეულია ტერიტორია შპს „ჯეოსთილი“-ს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდას სანაყაროს მოსაწყობად და დღეისათვის მიმდინარეობს მიწის შესყიდვის პროცედურა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ დაიწყება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გზშ-ს პროცედურა. აღნიშნული სამუშაოებისათვის დაახლოებით საჭირო იქნება 1 წლამდე, ხოლო სანაყაროს მოწყობისათვის 6 თვემდე ვადა. აღნიშნულის გათვალისწინებით ახალი სანაყაროს მოწყობისათვის (პროექტირება, საჭირო ნებართვების მიღება და მოწყობა) საჭირო მაქსიმალური ვადა შეადგენს 1.5 წელს. შესაბამისად ნარჩენების დროებითი დასაწყობებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ 3 წლიან პერიოდში შესაძლებელი იქნება ახალი სანაყაროს მოწყობა და ექსპლუატაციის დაწყება.</p>

	<p>გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნას კონკრეტული ღონისძიებები, წარმადობის გაზრდის შემდგომ და ისტორიულად წარმოქმნილი ნარჩენების (წიდისა და ფილტრის ნალექები) შესახებ, კერძოდ როგორ უზრუნველყოფს კომპანია აღნიშნული ნარჩენების შემდგომ მართვას.</p>	<p>წიდის სანაყაროს მოწყობის შემდეგ ტერიტორიაზე დასაწყობებული წიდეები და ფილტრის ნალექები გადატანილი იქნება ახალ სანაყაროზე და დასაწყობდება მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.</p>
7	<p>დაზუსტებას და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშის და ზდგ-ის ნორმების პროექტის სხვადასხვა თავებში მოცემული ინფორმაცია კომპონენტების შესახებ (გოგირდის დიოქსიდის ჩათვლით), რომლებზეც ხორციელდება უწყვეტი მონიტორინგი;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია: საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელების გაანგარიშება შესრულებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N435 დადგენილების მიხედვით, კერძოდ: გამოყენებულია 43-ე დანართში მოცემული მახასიათებლები, სადაც სხვა ნივთიერებებთან ერთად მითითებულია გოგირდის დიოქსიდიც. შენიშვნის გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილები იქნა შეტანილი ზდგ-ს ნორმების პროექტში. ზდგ-ს ნორმების პროექტის განახლებული ვერსია თან ერთვის.</p>
8	<p>ამასთან, ზდგ ნორმების პროექტში ელ. რკალური ღუმელიდან გაფრქვევების შეფასებისას წარმოდგენილ იქნეს გ-39 წყაროზე - როგორც შეწონილ ნაწილაკებზე ისევე ნამწვ აირებზე უწყვეტი მონიტორინგის სისტემიდან მიღებული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის მაჩვენებლების პროგრამული ამონაბეჭდი, რომელიც ადასტურებს დამონტაჟებული მოწყობილობის მიერ მიღებულ შედეგებს;</p>	<p>39-ე გაფრქვევის წყაროზე დამონტაჟებული უწყვეტი მონიტორინგის სისტემიდან მიღებული შეწონილ ნაწილაკების და ნამწვი აირების კონცენტრაციების მაჩვენებლების პროგრამული ამონაბეჭდის ელექტრონული ვერსია თან ერთვის (იხილეთ დანართი N2).</p>
9	<p>ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს უახლოეს მოსახლესთან მონიტორინგის ყველა წერტილი;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია: მონიტორინგის გეგმაში, უახლოესი საცხოვრებელი ზონების საზღვრებზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინსტრუმენტული მონიტორინგის მიზნით დამატებულია ერთი საკონტროლო წერტილი. მონიტორინგის გეგმის კორექტირებული ვერსია მოცემულია დანართში N3.</p>
10	<p>ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმაში დამატებით გათვალისწინებული უნდა იქნეს გაფრქვევის შემცირების კონკრეტული ღონისძიებები საწარმოდან არაორგანიზებული გაფრქვევების, მათ შორის ჯართის</p>	<p>როგორც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული საჩამომსხმელო საამქროდან არაორგანიზებული ემისიების მინიმუმაციის მიზნით გატარებულია ქმედითი ტექნიკური ღონისძიებები, კერძოდ: • ადრე არსებული 480,000 მ<sup>3</sup>/სთ სიმძლავრის ვენტილატორი, რომლის შემწოვი</p>

<p>ღუმელში ჩატვირთვის ოპერაციებიდან, ასევე, საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები (მათ შორის არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში და სხვა).</p>	<p>ზონტი დამონტაჟებული იყო ფოლად სადნობი ღუმელის თავზე, შეცვლილია 560,000 მ<sup>3</sup>/სთ ვენტილატორით, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სისტემის ეფექტურობა, მათ შორის ჯართის ჩატვირთვის პროცესში გამოყოფილი აირმტვერნარევის გაწოვის ეფექტურობა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საჩამომსხმელო საამქროში დამონტაჟებულია დამატებითი შემწოვი ვენტილატორი (სიმძლავრე 70 000 მ<sup>3</sup>/სთ), რაც კიდევ უფრო აუმჯობესებს პირველად შეწოვას და მნიშვნელოვნად ამცირებს არაორგანიზებული ემისიების მოცულობებს;</li> <li>• გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უზრუნველყოფილია ფოლადსადნობი ღუმელიდან სახურავიდან (ჯართის ჩატვირთვის პროცესში) აირმტვერნარევის გამწოვი სისტემების სარქველების რეგულირება, რომ ჯართის ჩატვირთვის პროცესში აირნარევის შეწოვა ხდება ღუმელის თავზე არსებული ზონტიდან, ხოლო დნობის პროცესისას მხოლოდ ღუმელიდან;</li> <li>• ქარხნის შიდა გზების და წიდასაყარის ზედაპირებიდან მტვრის გავრცელების მინიმიზაციის მიზნით დამყარებულია კონტროლი მორწყვის გრაფიკის შესრულებაზე. მორწყვის გრაფიკი შეთანხმებულია გარემოს დაცვის სამინისტროსთან.</li> </ul> <p>აღნიშნული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება საჩამომსხმელო საამქროს შენობიდან და ტერიტორიებიდან არაორგანიზებული ემისიების მოცულობები.</p> <p>რაც შეეხება არა ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის საკითხს, „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში შპს „ჯეოსთილი“-ს მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იყო 2021 წელში (გეგმის განახლებული ვერსია მოცემულია დანართში N4), რომელიც შეთანხმებულია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ (დანართი 5).</p>
<p>11 როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „გავიგუდე“-ს წერილშია მოცემული შპს „ჯორჯიან ელთის გრუპი“ აღარ ფუნქციონირებს და მის ნაცვლად საქმიანობას ახორციელებს შპს „მნ გრუპი 2021“.</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაცია ითხოვს დაზუსტდეს ფონის სახით გამოყენებულია თუ არა შპს „მნ გრუპი 2021“-ის ემისიები.</p>	<p>გზშ-ს ანგარიშში და თანმხლებ დოკუმენტაციაში გაპარულია ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ: შპს „მნ გრუპი 2021“-ის ნაცვლად ნახსენებია შპს „ჯორჯიან ელთის გრუპი“. გაანგარიშებაში გამოყენებულია შპს „მნ გრუპი 2021“-ის მონაცემები.</p>